<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
მიზნობრივი პროგრამა

2013 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. **პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:**

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტი

2. **პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:**

" 1 იანვარი " 2013 წ.
" 31 დეკემბერი " 2013 წ.

3. **პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი**

772,300 **(შვიდას სამოცდათორმეტი ათას სამასი) ლარი**

4. **პროგრამის დაფინანსების წყაროები:**

ა) ძირითადი _ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი	772,300	**ლარი**
ბ) დამატებითი	0	**ლარი**

5. **პროგრამის (ქვეპროგრამის) განხოციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის დასახლებულ ადგილებში, განსაკუთრებით მთიან მუნიციპალიტეტებში, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისათვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია, რამაც გამოიწვია მათთვის ადგილებზე ექიმამდელი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ორგანიზების აუცილებლობა. 90-იან წლებიდან სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება ხორციელდებოდა თემის სამედიცინო პუნქტის (საფერშლო-საბებიო პუნქტების) პერსონალის მიერ.

2005-2012 წლებში ,,სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების კომპონენტის'' (შემდეგში - კომპონენტი) ფარგლებში გაიზარდა თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურება, ამოქმედდა ინფორმაციული კავშირი თემის სამედიცინო პუნქტს, საექიმო ამბულატორიასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურს შორის, მოწესრიგდა სააღრიცხვო/საანგარიშგებო სისტემა, რითაც ხელი შეეწყო სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას.

სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების 2013 წლის პროგრამის ამოქმედებით აჭარის სოფლის მოსახლეობა ადგილზე უზრუნველყოფილი იქნება გადაუდებელი ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, თემის სამედიცინო პუნქტებს მიეწოდება გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების ყოველთვიური მარაგი და სადიაგნოსტიკო ტესტ სისტემები.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

N	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა თემის სამედიცინო პუნქტების ფუნქციონირებით.	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილების დონე; პაციენტების რაოდენობა.
2	სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა მედიკამენტებით გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიზნით.	

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2013 წელი													
N	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	მომსახურების მიმწოდებელთან ხელშეკრულებების (კონტრაქტების) გაფორმება	X											

2	მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების მომწოდებლის შერჩევა	X	X	X									
3	სამედიცინო მომსახურეობა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსება წლების მიხედვით

N	წყაროს დასახელება		2013 წელი	2014 წელი	2015 წელი	სულ
	ძირითადი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი	772,300			772,300
	დამატებითი					0
	სულ		772,300	0	0	772,300

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

N	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი, 12 თვე (ლარი)
2013 წელი					
I	საქონელი და მომსახურება				
სულ საქონელი და მომსახურება					
II	სოციალური უზრუნველყოფა				
1	მედდების ხელფასები	მედდები	227	250	681,000

3	მედიკამენტები სამედიცინო პუნქტებისთვის	სამედ. პუნქტები	181	37.035	80,440
4	სადიაგნოსტიკო საშუალებების (გლუკომეტრის ტესტ-ჩხირები) რეაბილიტირებული სამედიცინო პუნქტებისათვის	სამედ. პუნქტები	181	60.00	10,860
სულ სოციალური უზრუნველყოფა					772,300
III	არაფინანსური აქტივები				
სულ ჯამი					**772,300**

10. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვისათვის დაგეგმილი თანხა (ლარი)	შენიშვნა

1	თემის სამედიცინო პუნქტში* დასაქმებული სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურება და სხვა მიმდინარე ხარჯები	I -IVკვარტალი, 2013 წ.	კონტრაქტი	681,000	შრომის ანაზღაურება
2	მედიკამენტების შეძენა	I კვარტალი, 2013 წ.	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	80,440	
3	სადიაგნოსტიკო საშუალებების (გლუკომეტრის ტესტ-ჩხირები) შეძენა	I კვარტალი, 2013 წ.	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	10,860	

დამატებითი ინფორმაცია:

ა) დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

კომპონენტით გათვალისწინებული ხარჯების კვარტლებისა და თვეების მიხედვით განაწილება წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კომპონენტის დამტკიცების შემდეგ

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

დაფინანსება განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მომსახურების მომწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობების შესაბამისად.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

კომპონენტის შესრულებაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული მედდები, რომელთანაც სამინისტრო აფორმებს ხელშეკრულებას (კონტრაქტს) კომპონენტით განსაზღვრულ მომსახურეობის მიწოდებაზე.

ს წ ო რ ი ა: